MES 6 22 0000020519

14/01/2022

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში 2021 წლის 24 დეკემბერს. სხდომის დაწყებამდე საბჭოს წევრებს, ექსპერტებს და დაწესებულებებს გაეგზავნა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

Join Zoom Meeting
https://us02web.zoom.us/j/81557799674?pwd=aWs5MTNMMnhmdm1KVERjM0E5R2Fmdz09
Meeting ID: 815 5779 9674
Passcode: 875312

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში- საბჭო) წევრები:

ნანა ყუფუნია - შპს „თბილცემენტ გრუპის“ ადამიანური რესურსების მართვისა და ორგანიზაციული განვითარების პროექტის ხელმძღვანელი / საბჭოს თავმჯდომარე;
შორენა ჯაფარიძე - პროფესიული განათლების ექსპერტი / საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
მარიამ ჩაგელიშვილი - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროგრამის „კერძო სექტორის განვითარება და პროფესიული განათლება სამხრეთ კავკასიაში“ ექსპერტი / საბჭოს წევრი;
ქრისტინა რზგოევა - სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსი / საბჭოს წევრი;
მარიამ ქუჩულორია - ა(ა)იპ ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე / საბჭოს წევრი;
ნატალია კვაჭანტირაძე - საქართველოს ტურიზმის ასოციაციის თავმჯდომარე / საბჭოს წევრი;
ნინო ველთაური - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორი;
სერგო ნოზაძე - ადამიანური რესურსების მართვის პროფესიონალთა ასოციაციის პრეზიდენტი;
გიორგი ხიშტოვანი - ა(ა)იპ - პი ემ სი კვლევითი ცენტრის კვლევითი მიმართულების დირექტორი;
ნინო კაკულია - საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აწარმოე საქართველოში ინვესტორებთან ურთიერთობის მთავარი მენეჯერი;
მაგდა ბოლოთაშვილი - სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის გენერალური დირექტორის მოადგილე - საბჭოს მდივანი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნია გუგუნავა - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მთავარი სპეციალისტი;
ნინო სტეფანიშვილი- პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი:
თემურ ტუნაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი,
ნაია ჩელებაძე - პრორექტორი,
ელზა ფუტკარაძე - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი,
სამონაზვნე ბარბარე (ციალა მეგრელაძე) - სკოლამდელი საგანმანათლებლო აღმზრდელის პროგამის ხელმძღვანელი,
სონია ჩეჩელაშვილი - ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამის ხელმძღვანელი,
ია შალამბერიძე - იურისტი,
მზია შავაძე - იურისტი,
გოგიტა მშვენიერაძე - ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე.

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი:
იაკინთე ჩხარტიშვილი - ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი,
ვლადიმერ ღლონტი - ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი,
მადონა მიქელაძე - ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორი,
ნანა მაკარაძე - ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი,
ჟანა ჯიბლაძე - ბსუ-ს იურიდიული დეპარტამენტის უფროსი.

შპს საქართველოს საავიაციო აკადემია:
ეკატერინე აზარაშვილი - აკადემიის დირექტორი,
თენგიზ სასირელი- ხარისხის მართვის მენეჯერი.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:
ქეთევან ანთაძე,
ნინო ხარხელაური,
ინგა ბოჭოიძე,
გიორგი ხაბეიშვილი,
დიანა გახარია,
მედეა ზურაბიშვილი,
მანანა მახარაშვილი,
ეკატერინე გიგაშვილი,
ნიკა თიკანაშვილი,
ნათელა ჩაჩუა.

საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 14:00 საათი.

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულებების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.
სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.
სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო **დღის წესრიგი**:
1. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მებაღეობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სატყეო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საფინანსო სერვისების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საბიბლიოთეკო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;
6. შპს საქართველოს საავიაციო აკადემიაში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმოამდგენლებსა და დაინტერესებულ პირებს, ჰქონდათ თუ არა რაიმე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა, საბჭოს წევრებს შეახსენა, რომ რამდენადაც 20 დეკემბერს გამართულ საბჭოს სხდომაზე დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-7 საკითხზე საბჭოს წევრებისა და დაწესებულების წარმომადგენელთა თანხმობით არ ჩატარდა კენჭისყრა შეზღუდული დროისა და გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო კვორუმის არ არსებობის გამო, გარდა ამისა, საბჭოს წევრებს ჰქონდათ კითხვები განხილულ საკითხთან დაკავშირებით, რაზეც სიღრმისეული მსჯელობისა და ანალიზის შესაძლებლობას არ იძლეოდა შექმნილი გარემოებები, სხდომაზე საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა პირველ საკითხად შესულიყო 24 დეკემბერს დაგეგმილი ავტორიზაციის საბჭოს დღის წესრიგში.
საბჭოს თავმჯდომარე დაეთანხმა და დაამტკიცა განახლებული დღის წესრიგი :
1. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერიძის სასწავლო უნივერისტეტში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მებაღეობის“პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;

3. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სატყეო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საფინანსო სერვისების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;
6. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საბიბლიოთეკო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;
7. შპს საქართველოს საავიაციო აკადემიაში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.

1. **ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერიძის სასწავლო უნივერისტეტში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.**
სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, ნანი დალაქიშვილს, დაწესებულების წარმომადგენლებს თუ ჰქონდათ უფლებამოსილება საბჭოზე პოზიციის დაფიქსირების, მან დაადასტურა, რომ დაწესებულების მხრიდან ცენტრში გამოგზავნილი იყო მინდობილობა დამსწრე წევრების საბჭოზე დასწრების უფლებამოსილების შესახებ.
ნანი დალაქიშვილმა, საბჭოს წევრებს, ცენტრის დირექტორის მოადგილის ბატონი კახაბერ ერაძის შუამდგომლობის ტექსტი გააცნო, კერძოდ, კახაბერ ერაძე აღნიშნავდა, რომ მან კიდევ ერთხელ გაიარა დასკვნა, ასევე ის დოკუმენტები განიხილა, რომელიც წარმოდგენილი იყო დაწესებულების მიერ და კიდევ ერთხელ აფიქსირებდა, რომ დასკვნაში აღწერილი იყო სტანდარტების შესაბამისობასთან დაკავშრებით ამგვარი მდგომარეობა: პირველ სტანდარტთან დაკავშირებით სრული შესაბამისობა ჰქონდათ ექსპერტებს დაფიქსირებული; მე-2 სტანდარტთან დაფიქსირებული იყო, რომ 2.2 და 2.1 კომპონენტები ვერ შეფასდა დოკუმენტების არასრულყოფილების გამო, ამიტომ ჩაითვლა შეუსაბამოდ; მე-3 სტანდარტის შეუსაბამობის მიზეზი იყო 3.1 კომპონენტის შეუსაბამოდ შეფასება; მე-4 სტანდარტის შეუსაბამობის მიზეზი იყო 4.1 კომპონენტის შეუსაბამობა; მე-5 სტანდარტში კი ფიქსირდებოდა 5.1, 5.2 და 5.3 კომპონენტების შეუსაბამობა. ასევე ნანი დალაქიშვილმა, საბჭოს წევრებს განუმარტა, რომ დაწესებულებამ 10 დეკემბერს, ცენტრში წარადგინა ხარვეზების გამოსწორების დეტალური გეგმა, ასევე ის დოკუმენტები, რომლებიც ვერ შეაფასეს ექსპერტებმა, ამიტომ მიუთითეს როგორც შეუსაბამო, ეს იყო 2.1.1-2 ; 2.1.1-8 ; 2.2.1-7 ; 5.2.1-3 ; 5.2.2-2 ; 5.2.3-4 ; 5.2.3-5 ; 5.3.1-1 ; 5.3.1-2 ; 5.3.1-3 და 5.3.1-4 ინდიკატორის შესაბამისი დოკუმენტები. ამასთან, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელიც უზრუნველყოფილი იყო შესაბამისი რესურსებით და გაწერილი იყო ვადებით, აქედან : 3.1.1-1; 1.4.1-1; 4.1.1-2; 4.2.2-1; 4.1.1-3; 5.1.1-1; 5.1.1-2; 5.1.1-8 და 5.1.2-3 ინდიკატორების შესაბამისობაში მოყვანის ვადები იყო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ გეგმაში მითითებული, არაუმეტეს 6 თვე , ხოლო 5.1.1-4; 5.1.1-5 და 5.1.1-4 ინდიკატორების შესაბამისი აქტივობების სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანის საშუალებას მისცემს დაწესებულებას 18 თვის განმავლობაში, ეს არის სახანძრო უსაფრთხოება; შრომის უსაფრთხოების საკითხები და გათბობის მონტაჟი. ამასთან კახაბერ ერაძეს მითითებული ჰქონდა ისიც, რომ ცენტრმა შეისწავლა გეგმა და მხარს უჭერს დაწესებულების გეგმას და წარმოდგენილ დოკუმენტებს, შუამდგომლობს საბჭოს წინაშე და

გარდა ამისა, კახაბერ ერაძე აღნიშნავს, რომ შესაძლებელია ამ გეგმის შესრულების ყველა რესურსი ჩაითვალოს მისაღებად და გარდა ამისა, ცენტრის დირექტორის შეხვედრა შედგა აჭარის განათლების მინისტრთან, რომელმაც მზაობა გამოხატა, რომ უნივერსიტეტს გამოუყოს იანვარშივე მნიშვნელოვანი ფინანსები აღნიშნული საკითხების მოგვარებისთვის. ამდენად, ავტორიზაციის დებულების მე-40 მუხლის, მე-2 და მე-3 პუნქტების მიხედვით შეუძლია საბჭომ იხელმძღვანელოს და ამის საფუძველზე საბჭოს შეუძლია შეცვალოს ექსპერტთა შეფასება ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, ხარვეზების ნაცვლად მეტწილი და ნაწილობრივი შესაბამისობები დააფიქსიროს,ამ ეტაპზე შეწყვიტოს ადმინისტრაციული წარმოება, ჩანიშნოს მონიტორინგი, 3.1 კომპონენტსა და 3.4. კომპონენტში 6 თვის ვადაში, ხოლო 5.1 კომპონენტში 18 თვის ვადაში. ყოველივე ამას, როგორც ნანი დალაქიშვილმა აღნიშნა, მხარს უჭერს როგორც ცენტრის დირქტორის მოდგილე, ასევე პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და ფინანსური მხარდამჭერია აჭარის განათლების სამინისტრო.

საბჭოს თავმჯდომარემ ნანა ყუფუნიამ, მადლობა გადაუხადა ნანი დალაქიშვილს, კახაბერ ერაძეს და სხვებს, ამომწურავი ინფორმაციისთვის, ასევე აღნიშნა, რომ საბჭოს წევრები ეყრდნობოდნენ ექსპერტების დასკვნას გადაწყვეტილების მიღებისას, მიუხედავად იმისა, რომ დიდ პატივს სცემენ ცენტრსა და მის მიერ წამოყენებულ შუამდგომლობას. შესაბამისად, ყოველივე ზემოაღნიშნულის უკეთ გაგებისთვის, მან დასვა კითხვა, თუ რატომ არ მოხდა ამ ყველაფრის დაფიქსირება ექსპერტების მუშაობის პროცესში და რამდენად დაადასტურებენ ამ ყველაფერს ექსპერტები.

ნანი დალაქიშვილმა განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში ისეთ საკითხებთან ჰქონდათ საქმე, რომელიც დაკავშირებული იყო რესურსებთან და, სახანძრო უსაფრთხოების და გათბობის პრობლემების გადასაწყვეტად, ფინანსებთანაც, რომლისთვისაც მზაობას ექსპერტების მუშაობის პროცესში დაწესებულება ვერ გამოხატავდა, რადგან ამ ფინანსების მოძიება თვითონ უჭირდათ, რადგან ეს არის საპატრიარქოს დაფინანსებაზე არსებული უმაღლესი სასწავლებელი, რომელიც ამ დაფინანსებას, გარდა სასწავლო პროცესის დაფინანსებისა, კამპუსის შენახვასა და სტუდენტთა უფასო კვებაზე ხარჯავს, შესაბამისად რადგან დამატებითი ფინანსები არ ჰქონდათ, ამ ყველაფერს ვერ ასახავდნენ შესაბამისობის გეგმაში, შემდეგ მათ გააგრძელეს ამ მხრივ მუშაობა და რაღაც გამოსავალი მოძებნეს, რაც აისახა მოგვიანებით შესაბამისობის გეგმაში, ამ გარემოებების გამო შუამდგომლობს ცენტრი უნივერსიტეტს საბჭოს წინაშე. დანარჩენ საკითხებს კი დაწესებულება,ს თუ სურვილი ექნებოდ,ა განმარტავდა.

საბჭოს თავმჯდომარემ, აღნიშნა, რომ მისთვის გასაგები იყო ის მიდგომები, რაც გაჟღერებული იყო ცენტრის შუამდგომლობაში, თუმცა მისთვის კითხვის ნიშნის ქვეშ იყო ფაქტი, თუ როგორ აფასებს ცენტრი ამ პირობებში ექსპერტების მუშაობას, კერძოდ, დადებითად აფასებდა მათ მუშაობას თუ უარყოფითად, ანუ რა გახდა ასეთი შუამდგომლობის საფუძველი. ამიტომ, ნანა ყუფუნიას, აინტერესებდა ექსპერტების არასათანადო მუშაობის გამო აყენებდა ცენტრი შუამდგომლობას თუ დამატებითი პირობების საფუძველზე, რაც მნიშვნელოვანი იყო საბჭოს წევრებისთის.

ნანი დალაქიშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფს არაჯეროვნად არ უმუშავია, მათ ასახეს დასკვნის პროექტში ობიექტური რეალობა, ასევე შემდეგ, დასკვნაშიც. განხვავებული გარემოებები გამოიკვეთა მოგვიანებით, 10 დეკემბერს უნივერსიტეტის მიერ გამოგზავნილ შესაბამისობის გეგმაში, რასაც ცენტრი და სამსახური შუამდგომლობს საბჭოს წინაშე.

ნანა ყუფუნიამ აღნიშნა, რომ მას მართალია ესმოდა ობიექტური გარემოებების არსი, თუმცა საბჭო იყო რთულ მდგომარეობაში, რადგან ჰქონდათ ერთი და იგივე ორგანიზაციის, ამ შემთხვევაში ცენტრის 2 ურთიერთგამომრიცხავი შეფასება, აქედან გამომდინარე, მან სთხოვა თავის კოლეგებს, წარმოედგინათ საკუთარი პოზიცია.

მარიამ ჩაგელიშვილმა პირველ რიგში მადლობა გადაუხადა ნანი დალაქიშვილს ცენტრის პოზიციის გაჟღერებისთვის, შემდეგ კი მას სურდა დაეზუსტებინა, იყო თუ არა ნამდვილად გეგმიური ვიზიტი, ანუ ნამდვილად იცოდა თუ არა დაწესებულებამ, რომ ეს ვიზიტი შედგებოდა, რაც ნანი დალაქიშვილმა დაუდასტურა. ამის შემდგომ განაგრძო მსჯელობა და

აღნიშნა, რომ თუ დაწესებულებისთვის ცნობილი იყო, რომ ეს ვიზიტი შედგებოდა, ამასთან დაუშვებდნენ ალბათობას, რომ ისეთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტის, მაგ: სახანძრო უსაფრთხოების, გათბობის დამონტაჟების ფინანსების მიმართულებით, ბუნდოვანების გამო, ვერ გააკეთა დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმა, მას არ ჰგონია, რომ ეს არგუმენტი წონადია, რადგან დაწესებულებამ იცოდა, რომ იქ შევიდოდა ექსპერტთა ჯგუფი, შეამოწმებდა ამ საკითხს, ამიტომ უნდა აცნობიერებდეს დაწესებულება, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია და როგორც მინიმუმ, გეგმა უნდა ჰქონოდათ და მაქსიმალურად გრძელი ვადა ეთხოვათ. რაც შეეხება მეორე საკითხს, აქ პერსონალური მონაცემების დაცვის მიმართულებით ექსპერტების შეფასება იყო, რომ დაწესებულება არ იცავდა პერსონალურ მონაცემებს, ამასთან შრომის სამართლის ძირითადი და მნიშვნელოვანი საკითხები არ იყო დაცული დაწესებულებაში, კერძოდ, როგორც ეს ექსპერტებმა აღნიშნეს, არსებითი პირობები არ იყო შრომით ხელშეკრულებაში, ბიუჯეტი კი ვერ იქნა ნანახი ექსპერტების მრავალგზისი მცდელობის მიუხედავადაც კი, შესაბამისად მას არ შეეძლო წარმოდგენა იმისა, რომ დაწესებულება მართლაც აცნობიერებდეს სტანდარტების შინაარსს, მათ დანიშნულებას და აცნობიერებდეს ექსპერტების მიერ ჩასატარებელი სამუშაოს მნიშვნელობას. ამასთან, თუნდაც ერთი ექსპერტი ითხოვდეს და არა სამი, დოკუმენტს და როგორ შეიძლება ეს არ გაეთვალისწინებინა დაწესებულებას და არ მიეწოდებინა ექსპერტისათვის. საბოლოოდ კი მარიამ ჩაგელიშვილმა აღნიშნა, რომ მისთვის როგორც საბჭოს წევრისთვის, უმნიშვნელოვანესი იყო ჰქონოდათ თუნდაც ერთიანი მიდგომა, რაზეც ხშრად ჰქონდათ საუბარი, რომ თუ რაიმე შეეშლებოდათ, ამგვარად შეშლოდათ ერთიანად ყველგან, შესაბამისად, საჭირო იყო ერთიანი მიდგომა ჰქონოდა საბჭოს თითოეული შემთხვევის მიმართ, რათა შესაბამისობაში ყოფილიყო უკვე მიღებული და მისაღები გადაწყვეტილებები ერთმანეთთან.

დაწესებულების წარმომადგენელმა გოგიტა მშვენიერაძემ, პირველ რიგში, მადლობა გადაუხადა წინა მომხსენებლებს თავიანთი პოზიციის გაჟღერებისთვის და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი ღია იყო ცვლილებებისა და განვითარებისთვის, ამასთან აღნიშნა, რომ მათი უნივერსიტეტი 11 საბაკალავრო და 11 სამაგისტრო პროგრამას ახორციელებდა, შესაბამისად პროფესიულთან ერთად უმაღლესი განათლებისთვის დამახასიათებელი უამრავი ავტორიზაციისა და აკრედიტაციის საკითხები ჰქონდათ გავლილი, ამიტომ მათთვის მონიტორინგიც არ ყოფილა უცხო , ამასთან აღნიშნა, რომ დაწესებულებამ ავტორიზაცია გარკვეული მიზეზების გამო 2019 წელს ვერ გაიარა, თუმცა 2020 წელს გამოასწორეს აღნიშნული ხარვეზები და ავტორიზაციაც მიენიჭათ. ხოლო რაც შეეხებოდა დანარჩენ საკითხებს, კერძოდ, ბიუჯეტს, განმარტა, რომ მათი დაწესებულება მთლიანად ფინანსდებოდა საქართველოს საპატრიარქოს მიერ და მათ ამ დრომდე არ ჰქონდათ გამიჯნული უმაღლესისა და პროფესიული განათლების ბიუჯეტი, რაც გახდა მიზეზი იმისა, თუ რატომ ვერ შეძლეს შესაბამისი დოკუმენტების ექსპერტთათვის წარდგენა, თუმცა მათთვის შესაბამისობის გეგმა იყო მთავარი დასაყრდენი, რომლითაც რექტორის ბრძანებით გაიმიჯნა უმაღლესისა და პროფესიული გაანთლებისთვის საჭირო ბიუჯეტი, რის გამოც მიმდინარეობდა გარკვეული პროცესები რომლებიც 28 დეკემბერს დასრულდებოდა , რაც შეეხებოდა ცენტრალურ გათბობას, აღნიშნული უკვე 2 სართულზე გაკეთებული ჰქონდათ. რაც ზამთრის პერიოდში ძალიან დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული, რის გამოც დამატებითი სახსრები მოიძიეს აჭარის განათლების სამინისტროდან. ხოლო მთლიანად სტანდარტის დაკმაყოფილებას რაც შეეხება, ამასთან დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შუახევის მერიიდან გამოითხოვეს ინფორმაცია, თუ როდისთვის მოხდებოდა დაწესებულებისთვის ბუნებრივი აირის მიწოდება, რომელთაც მოახსენეს, რომ ბუნებრივი აირის მიწოდება 2022 წლის ბოლოდან იქნებოდა შესაძლებელი, თუმცა დაწესებულება არ აპირებდა 2022 წლის ბოლოსთვის დაგეგმილი სამუშაოებისთვის დალოდებას და აპირებდნენ შიდა ცენტრალური გათბობის მონტაჟს, ხოლო როგორც კი ბუნებრივი აირის შესაძლებლობა ექნებოდათ უკვე ამ საკითხსაც მოაწესრიგებდნენ. რაც შეეხება შშმ პირებისთვის ადაპტირებული გარემოს შექმნას, იმისთვის, რომ აღნიშნული

საკითხი საბჭოს სხდომამდე მოეწესრიგებინათ, მათ აიღეს მაქსიმალური დრო 20 იანვარი და შესაბამისად უკვე დაწესებულება პანდუსებით უზრუნველყვეს, ხოლო ყველა სართულზე შესაბამისი პირობებით საპირფარეშოების მოწყობის შეუძლებლობის გამო, მხოლოდ პირველ და მეორე სართულებზე, უკვე შეძლეს შესაბამისი მოწყობილობებით საპირფარეშოების მოწყობა. რაც შეეხება სახანძრო უსაფრთხოებას, დაწესებულებამ ამისთვის მოიწვია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის შესაბამისი საქვეუწყებო დაწესებულება, რომელთაც შეამოწმეს დაწესებულება და დაწერეს უარყოფითი დასკვნა, ხოლო 2019 წლის 7 თებერვლის მოწერილობით მათ განუსაზღვრეს ვადები შესაბამისი სამუშაოების შესრულებისთვის, ხოლო ასეთი სამუშაოებიდან მაქსიმალურად შეეცადნენ ყველაფერი მოესწროთ, მაგ: გააუქმეს სახანძროო სტენდები, რომლებიც კიბესთან იყო დამაგრებული და დააყენეს სართულებზე საევაკუაციო გეგმის და შესაბამისი აღჭურვილობებით. ხოლო სხვა დანარჩენი ტექნიკური სამუშაოების შესახებ მოწერილობას რაც შეეხება, დაწესებულების წრამომადგენელმა აღნიშნა, რომ მაგ; სიგნალიზაციით უნივერიტეტის აღჭურვა, ამ შემთხვევაში ძალიან სოლიდურ თანხებთან იყო ყველაფერი დაკავშირებული და დაწესებულებამ მაქსიმალურად შეძლო სამუშაოების წარმოება. ამასთან დაწესებულებაში სწავლა დისტანციურად ხორციელდებოდა, მათ შორის ბუღალტრული აღრიცხვა, ხოლო საექთნო განათლების პრაქტიკულ სწავლებას, ბათუმის რეფერალურ საავადმყოფოებში მიმდინარეობდა, ხოლო თეორიული ნაწილის სწავლა ისევ დისტანციურად ხორციელდებოდა. რაც შეეხება ელექტრონული საქმისწარმოების სისტემას, ამასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაშიც შესაბამისობის გეგმაში სჩანს, რომ დაწესებულებას მართლაც სურს, აღნიშნული საკითხის მოწესრიგება და ამას ადასტურებს მათ მიერ მოთხოვნილი გონივრული ვადა. ხოლო შენობების უზრუნველყოფას ავტორიზაციის ვადით, მოცემულთან მიმართებით განმარტა, რომ 2012 წლის ივლისში იყო გაფორმებული თხოვების ხელშეკრულება, რომელსაც უნივერსიტეტის რექტორი მეუფე სპირიდონი აწერდა ხელს, ხოლო ხელშეკრულებას ვადა გასდის 2022 წელს, თუმცა მათ საჯარო რეესტრში წარადგინეს ახალი ხელშეკრულებები, ხოლო რეესტრს 3 თებერვლის მითითების გამო შეჩერებული აქვს წარმოება და ხელშეკრულებას 2022 წლის ივლისში გასდის ვადა, თუმცა აღნიშნულიც შესაბამისობის გეგმით იქნებოდა უზრუნველყოფილი. საბოლოოდ კი დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ისინი მზად იყვნენ ნებისმიერი ცვლილება განეხორციელებინათ.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს განუმარტა, რომ ვიზიტის დროს მათი ასეთი ღიაობის და მზაობის რეალურობის შემთხვევაში, ექსპერტებს ასეთი შინაარსის დასკვნა არ ექნებოდათ. ამის შემდეგ ნანა ყუფუნიამ, ექსპერტ ქეთევან ჯანელიძეს მიმართა კითხვით, ჰქონდა თუ არა მას შესაბამისობის გეგმა ნანახი. რაზეც ექსპერტმა დაუდასტურა, რომ ნანახი არ ჰქონდა. ამის შემდეგ კი საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს განუმარტა, რომ ისინი გამონაკლისს ვერ დაუშვებდნენ, ერთიანი მიდგომის აუცილებლობის გამო და სხვა დაწესებულებებისგან განსხვავებით, საგამონაკლისო წესით მათ დაწესებულებას შეღავათს ვერ გაუწევდნენ.

დაწესებულების წარმომადგენელმა, გოგიტა მშვენიერაძემ განმარტა, რომ დაწესებულების მზაობა გადამოწმებას ექვემდებარება, რაც არის მათთვის მთავარი დასაყრდენი, რადგან გეგმაში მათ ჰქონდათ გაწერილი, მიმდინარე და სამომავლოდ განსახორციელებელი სამუშაოების დღის წესრიგის შესახებ ინფორმაცია. რაზეც, ნანა ყუფუნიამ აღნიშნა, რომ არსებობდა გარკვეული რეგლამენტი და სტანდარტული პირობები რასაც ვერ გადაუხვევდნენ და გამონაკლისის სახით მათ დაწესებულებას ვერ მისცემდნენ შეღავათს.

პროფესიული განათლების ექსპერტი, შორენა ჯაფარიძე გამოეხმაურა მიმდინარე დისკუსიას და აღნიშნა, მისი აზრით, ეჭვქვეშ დაყენება თუ რამდენად კვალიფიციურად შეადგინეს ექსპერტებმა დასკვნა, არ მიაჩნია მართებულად და ის, როგორც 10 წლიანი გამოცდილების მქონე ავტორიზაციის ექსპერტი, თვლის, რომ არანაირი ხარვეზი ექსპერტთა დასკვნას არ ჰქონდა და ყველა გარემოება იყო მკაფიოდ და კარგად ასახული. მან აღნიშნა, რომ საბჭოს წევრებს უწევდათ 2 ურთიერთგამომრიცხავი ფაქტორი განეხილათ, აქედან ერთი იყო

ექსპერტების დასკვნა, ხოლო მეორე - ცენტრის პოზიცია და შუამდგომლობა, რომელიც ძალიან კარგად ასაბუთებს შესაბამის გარემოებებს. მან, ასევე, ხაზი გაუსვა მნიშვნელოვან განსხვავებას ძველსა და ახალ სტანდარტებს შორის. თუ ძველი სტანდარტებით მოხდებოდა დაწესებულების შეფასება, საბჭოს გადაწყვეტილება იქნებოდა ერთმნიშვნელოვნად უარყოფითი. ახალი სტანდარტების შემთხვევაში გადაწყვეტილების მიღებისას მნიშვნელოვანი ფაქტორი არის დაწესებულების მიერ შემუშავებული შესაბამისობის გეგმა. ასეთი გეგმა დაწესებულებამ წარმოადგინა, ცენტრის შეფასებით გეგმა კარგად არის შედგენილი და საბჭოს გადაწყვეტილებაც სწორედ ამას უნდა ეფუძნებოდეს. თუმცა, შორენა ჯაფარიძის აზრით, მხოლოდ შესაბამისობის გეგმა არ იყო საკმარისი და საჭირო იყო დაწესებულების მიერ დამატებით ფუნდამენტური ცვლილებების გატარება, რაც დაკავშირებულია პროგრამების ადმინისტრირებასთან და ადამიანური რესურსის გაძლიერებასთან. შესაძლოა გადასახედია სტრატეგია, რაზედაც ექსპერტებს შენიშვნა არ ჰქონიათ, თუმცა მას აქაც ჰქონდა მრავალი კითხვის ნიშანი, თუ რა გეგმები ჰქონდა დაწესებულებას, ხომ არ არის საჭირო ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებებზე მორგებული სხვა პროგრამების შერჩევა, მათ შორის სოფლის მეურნეობის მიმართულებით, მითუმეტეს, რომ ამის საშუალება და რესურსები დაწესებულებას გააჩნდა, ასევე მომზადება-გადამზადების პროგრამების პოტენციალის გამოყენება.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.
საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა რაიმე დასამატებელი. რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა, თემურ ტუნაძემ გამოთქვა სურვილი. ის მიესალმა სხდომაზე დამსწრე პირებს და განმარტა, რომ მათ ჰქონდათ ერთი კონკრეტული შემთხვევა, უმაღლესი დაწესებულების ავტორიზაციის დროს, ხარისხის კულტურის განვითარების მიმართულებით, სადაც გაწერილი ჰქონდათ მხოლოდ აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის შეფასებები, ხარისხობრივი განვითარება და სხვა. სადაც ჰქონდათ, განვითარების შესაძლებლობა, რომ როგორც საბჭოს სხდომის მიმდინარეობას იქნა აღნიშნული, ხარისხი არ არის მხოლოდ პროგრამები, მხოლოდ შეფასება და მათი განვითარება, არამედ ეს არის მთლიანი მოქმედება უნივერსიტეტისა, ყველა მისი სამსახურისა და ა.შ შესაბამისად დაწესებულებას, ამ ყოველივესთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი სამუშაოები გასწია და აქვთ მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს ადმინისტრაციისა და სხვა ადმინისტრაციული სამსახურების მუშაობის ხარისხის შეფასებასაც, რაშიც თავად სტუდენტებიც იყვნენ ჩართულნი და უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების სხვა წარმომადგენლებიც. აღნიშნული გაკეთდა 2018 წელს, რაც იძლევა შესაძლებლობას, რომ პროფესიულ პროგრამებსაც შეეხოს. რაც შეეხება პერსონალური მონაცემების დაცვას, ხელშეკრულების დადების დროს, პერსონალი აცხადებდა თანხმობას, რომ უნივერსიტეტს შეეძლო მათი პერსონალური მონაცემები გამოეყენებინათ, თუმცა აღნიშნული არ იყო მექანიზმის სახით გაწერილი რაც შეცდომა იყო, პერსონალური მონაცემი რას შეიცავს, აღნიშნულიც არ იყო გაწერილი, რაც დაწესებულებამ შემდგომში გამოასწორა, ხოლო მე-2/ მე-3 / მე-4 სტანდარტებთან მიმართებით, მათი ბევრი დოკუმენტი ითვალისწინებდა გარკვეული ცვლილებების შეტანას სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, შინაგანაწესში, ხელშეკრულებებში და უფრო მეტი თვალსაჩინოებისთვის აღნიშნული ვებგვერდზეც განათავსეს. შესაბამისობის გეგმაში კი იყო რამოდენიმე პუნქტი, რომელიც უკვე შესრულებულად მოიაზრება და მათ შორის ზემოთ აღნიშნულიც. ამასთან მისი თქმით, ერთი ცალკე მდგომი საკითხი იყო ის, რის გაკეთებასაც აპირებდა დაწესებულება, ხოლო მეორე ის საკითხი და პრობლემა, რაც საბჭოს წევრებმა სხდომისას წამოწიეს.
საბჭოს თავმჯდომარემ, თემურ ტუნაძეს დაუსვა კითხვა, თუ როგორი იყო მისი შეფასება, საბჭოს წევრების მიერ წამოჭრილი საკითხებისადმი, იყო თუ არა აღნიშნული ლეგიტიმური ან პირიქით. მან განმარტა, რომ ლოგიკური კითხვები და მოსაზრებები გაჟღერდა საბჭოს წევრების მიერ სხდომის მიმდინარეობისას, ხოლო ექსპერტების შეფასება იყო რეალური, რადგან ისინი ფაქტობრივ გარემოებებს ადასტურებდნენ, შესაბამისად, იმის გამო, რომ დაწესებულებას

ექსპერტების მიერ მოცემული საკითხის შეფასებისას არ ჰქონდათ, შესაბამისობის გეგმის პროექტი და წინადადება, ექსპერტთა დასკვნაც შესაბამისი გამოვიდა, ხოლო ექსპერტთა დასკვნის შემდგომ დაიწყო დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმაზე მუშაობა, რომლის ზოგიერთი პუნქტიც უფრო ადვილად იქნა განხორციელებული, შედარებით ადვილი იყო, ხოლო ზოგიერთი შედარებით რთული, თუმცა დაწესებულება მის გამოსწრებასაც მაქსიმალურად შეეცადა, ამაში ის არ გულისხმობდა მხოლოდ ბუნებრივ აირთან დაკავშირებულ საკითხს, არამედ ამაში გულისხმობდა სახანძრო უსაფრთხოების საკითხსაც, რისთვისაც სპეციალური სამუშაო ჯგუფიც შეიქმნა, ხოლო რაც შეხეება ცენტრალურ გათბობას, ამისთვის დაწესებულებამ ელექტრო გამათბობლები დაამონტაჟა აუდიტორიებში 2019 წელს, რაც ძალიან დიდ დანახარჯებთან იყო დაკავშირებული, შესაბამისად შემდეგ დაწესებულებამ აქცენტი გააკეთა ისევ ბუნებრივი აირის გამათბობლებზე, რა პერიოდსაც დაემთხვა პროფესიული დაწესებულების ავტორიზაციის საკითხიც, ამასთან დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ მართალია არ ჰქონდათ ცენტრალური გათბობა, თუმცა ელექტროგამათბობლები დამონტაჟებული აუდიტორიებში ჰქონდათ, რომელიც არის ძალიან ძვირადღირებული და რომლისთვისაც ცალკე იყო დაწესებულებაში მომუშავე ელექტროინჟინერი გამოყოფილი.

ექსპერტმა, ქეთევან ჯანელიძემ საბჭოს თავმჯდომარის ნებართვით, გააკეთა განაცხადა, რომ მას კორონა დაუდასტურდა უნივერსიტეტში ჩასვლიდან 5 დღის შემდეგ, ვიზტის დროს ჯგუფის ყველა წევრი აქტიური იყო და ყველა დოკუმენტის მოთხოვნა დასაბუთებულად ხდებოდა, მათ მოითხოვეს ყველა საბუთი, მათ შორის ნაწილი ზეპირად და ნაწილი წერილობით გამოითხოვეს, ხოლო აღნიშნულს კი განმარტავდა იმის გამო, რომ ექსპერტს არ სურდა მის კომპეტენციასა და პასუხისმგებლობაში ვინმეს ეჭვი შეეტანა.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა დამატებით აღნიშნა, რომ არ შეეძლო ექსპერტების მუშაობაზე არ გაემახვილებინა ყურადღება და არ აღენიშნა, რომ მათ მართლა მაქსიმალურად დიდი და კვალიფიციური შრომა გასწიეს, სამსახურის შუამდგომლობა საბჭოს წინაშე ეფუძნებოდა შემდეგ გარემოებებს: უნივერსიტეტი მდებარეობს მაღალმთიანი აჭარის რეგიონში, შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიჭაურში, უნივერსიტეტი უდიდეს ეროვნულ საქმეს აკეთებს თავისი ფუნქციონირებით, პროფესიული, საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების გახორციელებით ხელს უწყობს ადგილზე ახალგაზრდების დამაგრებას, უნივერსიტეტს აქვს კამპუსი და უფასო კვება სტუდენტებისთვის და რაც მთავარია და რაც დასკვნაშიცაა ასახული, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ხარისხიანად, რაც სტუდენტების გამოკითხვითაც დადასტურდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ექსპერტებს, მათ შორის განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა ქეთევან ჯანელიძეს გაწეული სამსახურისთვის და დაამატა, რომ იზიარებდა ნანი დალაქიშილის პოზიციას, რადგან თითქმის მთელ საქართველოს შესაძლოა შესტკიოდეს გული მაღალმთიანი აჭარაში უნივერსიტეტის ბედზე და პროფესიულ სასწავლებელზეც, თუმცა აღნიშნულს არ უნდა ამოეფაროს სასწავლებლის ადმინისტრაცია და ამის გამო არ უნდა გაექცეთ ის მნიშვნელოვანი ასპექტები, რომლებიც აზარალებს მთავარს, რაც არის განათლების ხარისხი და არა უბრალოდ ის, რომ სასწავლებელი არსებობდეს.

საბჭო სათათბიროდ გავიდა.

სხდომის მიმდინარეობა გაგრძელდა, საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაეფიქსირებნათ საკუთარი მოსაზრება და პოზიცია, მოცემულ საკითხთან დაკავშირებით. კერძოდ, ვინ იყო მომხრე შეწყვეტილიყო ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოება. იქვე განუმარტა, რომ თუ თანახმა იქნებოდნენ, ესე იგი ისინი აძლევდნენ ავტორიზაციის ფარგლებში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების საშუალებას დაწესებულებას, ხოლო უარის შემთხვევაში დაწესებულებას უწყდება პროფესიული პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება.

შორენა ჯაფარიძემ, თანხმობა განაცხადა და იქვე განმარტა, რომ მისი აზრით, მონიტორინგის წელიწადნახევრიანი ვადის განსაზღვრა, საუკეთესო გზა იყო დაწესებულებისთვის, რომ უკეთეს ხარისხს მიაღწიოს, ვიდრე უარის თქმა. მიუხედავად მრავალი დაფიქსირებული ხარვეზისა.
სერგო ნოზაძემ განმარტა, რომ იგი არ იყო თანახმა შეწყვეტილიყო მონიტორინგის ადმინისტრაციული წარმოება .
ქრისტინა რზგოევამ განმარტა, რომ იგი იყო თანახმა, ვინაიდან დაწესებულებისთვის გამოყოფილი სახსრებით, მომავალი წლიდან მას შეეძლო გამოესწორებინა ის ხარვეზები, რაც ამჟამად ჰქონდა.
ნინო ველთაურმა განაცხადა თანხმობა, რადგან იგი ითვალისწინებდა უპირველესად რეგიონის ინტერესებს.
მარიამ ქუჩულორიამ, განაცხადა თანხმობა, რადგან დაფიქსირებული არაერთი ხარვეზის მიუხედავად, უნდა მიეცათ დაწესებულებისთვის შესაძლებლობა ხარვეზის გამოსწორებისთვის, რეგიონის განვითარების შესაძლებლობიდან და სხვა ფაქტობრივი გარემოებების გამო.

გიორგი ხიშტოვანმა, განაცხადა, რომ არ იყო თანახმა; მარიამ ჩაგელიშვილი, მაგდა ბოლოთაშვილი და ნატალია კვაჭანტირაძეც არ იყო თანახმა. ნინო კაკულიამ ტექნიკური მიზეზების გამო ვერ მიიღო კენჭისყრაში მონაწილეობა. ნანა ყუფუნიამ, აღნიშნა, რომ მას არ ჰქონდა მკაფიო პოზიცია, რადგან არ ჰქონდა მკაფიო პოზიცია წინა საბჭოზე თუ რა მოვლენებს ჰქონდა ადგილი და რატომ ხდებოდა მოცემული საკითხის ვადებში ასე გაწელვა, ამის გამო იგი არ იყო თანახმა. თუმცა გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ხმების 3/4-ის არ არსებობის გამო, გადაწყვეტილება მოცემულ საბჭოს სხდომაზე ვერ მიიღებოდა და გადაწყვეტილებას, შემდეგი სხდომის დროს მიიღებდნენ.
საბჭოს თავმჯდომარემ ცენტრს მიმართა შუამდგომლობით, რომ მათთვის მიეწოდებინათ შემდეგი სხდომისთვის მაქსიმალურად მეტი ინფორმაცია, რაც საკითხის უკეთ გარკვევაში დაეხმარებოდა საბჭოს.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 4
წინააღმდეგი: 6
გადაწყვეტილება ვერ იქნა მიღებული.

პირველი საკითხის დასრულების შემდეგ, საბჭოს მდივანმა მაგდა ბოლოთაშვილმა სხდომა დატოვა. საბჭოს თავმჯდომარის დავალებით, სხდომის მდივნად განისაზღვრა ქრისტინა რზგოევა.
მეორე და მესამე საკითხები, საბჭოს თავმჯდომარის თანხმობით, საბჭოზე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ქეთევან ანთაძემ, მან ამ საკითხებთან დაკავშირებით წარმოადგინა ერთიანი პრეზენტაცია.

2. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მებაღეობის“პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა.
3. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სატყეო საქმის“პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა

დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას.

საბჭოზე საკითხის წარმდგენი გახლდათ: ქეთევან ანთაძე, გიორგი ხაბეიშვილი, ნინო ხარხელაური და ინგა ბოჭოიძე .

საბჭოზე პრეზენტაცია წარადგინა, ქეთევან ანთაძემ. რომელმაც აღნიშნა, რომ საკითხი ეხებოდა ავტორიზაციის ექპერტთა ჯგუფის დასკვნებს, სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში "მებაღეობის" და „სატყეო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ადგილის/ ფართის ცვლილებას, რომელიც შეფასდა საგანმანათლებლო ადაწესებულების ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით დადგენილი სტანდარტების "ბ.ბ" და "ბ.დ" კომპონენტებიის და აგრეთვე ე) ქვეპუნქტით დადგენილ სტანდარტების "ე.ა" და "ე.ბ" კომპონენტებთან მიმართებით.

რაც შეეხებოდა ვიზიტის მიმოხილვას, აქ ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებების საფუძველზე, სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმსწიფო უნივერსიტეტში, 2021 წლის 25 ოქტომბერს განხორციელდა ვიზიტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წინასწარ გადმოგზავნილი მასალები და შეიმუშავა დღის წესრიგი, რის მიხედვითაც მოხდა გასაუბრების ორგანიზება, დაწესებულების მიერ ადგილზე წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვა და დაწესებულების სასწავლო და მატერიალურ-ტექნიკური რესურსის დათვალიერება

დაწესებულება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას გეგმავს ბსუ-ს მე-6 კორპუსში, რომელიც განთავსებულია ქ. ბათუმში, ლეონიძის ქ. #15-ში, კორპუსი ახალია და განსაზღვრულია მხოლოდ პროფესიული პროგრამებისთვის (პროფესიული პროგრამების მართვის და უწყვეტი განათლების ცენტრი).

აკადემიური პერსონალის აკადემიურ და პროფესიულიპროგრამებში დატვირთვის საკითხები რეგულირდება საუნივერსიტეტო დონეზე და კონტროლირდება სასწავლო პროცესის დეპარტამენტის მიერ

ექპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა იმ აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემები, რომლებიც წარმოადგინა დაწესებულებამ, რის საფუძველზეც არ დასტურდება აკადემიური პროგრამების განხორციელების რისკი. შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების შემთხვევაში, არ იქმნება აკადემიური პროგრამების განხორციელების რისკი და არ მოხდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების დარღვევა.

როგორც ექსპერტი აღნიშნავს, რიგი ინდიკატორები (5.2.3-1 5.2.3-4 5.2.3 -5 5.2.3-6), ექსპერტთა მხრიდან, დასკვნის პროექტის ფარგლებში შეფასდა როგორც "არ შეესაბამება". გამომდინარე იქედან, რომ დაწესებულების მხრიდან არ იყო გათვალისწინებული გარკვეული საკითხები და ეს საკითხები ასევე არ იყო ასახული, შესაბამისობის გეგმაში.

ინდიკატორების ფარგლებში, დაწესებულებამ მოახდინა არასრული შესაბამისობის იდენტიფიცირება, შეიმუშავა და ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2021 წლის 03 დეკემბრის #01-10/100 ბრძანებით დაამტკიცა შესაბამისობის გეგმა, რომელიც მოიცავს 2021 წლის 6 დეკემბრიდან 2022 წლის 6 ივნისამდე პერიოდს. შესაბამისად, აღნიშნული ინდიკატორები დასკვნაში შეფასდა, როგორც "მეტწილად შესაბამისი", რომლის ფარგლებშიც დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს არსებული საკითხების სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანა, გეგმით გათვალისწინებულ ვადებში.

დაწესებულება არგუმენტირებულ პოზიციაში არ დაეთანხმა 5.2.1-3 ინდიკატორთან მიმართებაში არსებულ ექპერტთა შეფასებას. ექსპერტება განიხილეს აღნიშნული პოზიცია და

მასალები, რის შედეგადაც, დასკვნის ფარგლებში, ინდიკატორი შეფასდა, როგორც "შეესაბამება". ხოლო ექპერტთა მიერ ინდიკატორების ფარგლებში, დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია, ერთიანი რეგულაციის შემუშავების, რომელშიც უფრო დეტალურად გაწერს, კანონმდებლობის შესაბამისად პერსონალური მონაცემების დაცვასთან(გასაჯაროება, წარდგენა, შენახვა და სხვა) დაკავშირებულ საკითხებს და ასევე უფრო მკაფიოდ გამოაჩენს, პროფესიული სტუდენტის და პერსონალის თანხმობას აღნიშნულ საკითხებზე .

მე-5 სტანდარტთან მიმართებით შესაბამისობას რაც შეეხება, აქ ექსპერტებმა დასკვნაში 5.1 და 5.2 სტანდარტები შეაფასეს, როგორც "მეტწილად შესაბამისი". რადგან დაწესებულებამ აღწშნულები გაითვალისწინა შესაბამისობის გეგმაში. ხოლო ავტორიზაციის მე-2 სტანდარტი, კერძოდ 2.2 და 2.4 კომპონენტები შეფასდა როგორც, "მეტწილად შესაბამისი".

რაც შეეხება სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციებს, აქ ინდიკატორი "5.1.2.-3, რომლითაც დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი"

დაწესებულების შენობაში ცეცხლდაცვის სისტემის სრულად გამართვის უზრუნველსაყოფი გეგმის გათვალისწინებით, მოცემულ ინდიკატორთან მიმართებაში იკვეთება სტანდარტთან "მეტწილი შესაბამისობა" და აღნიშნული ინდიკატორის ფარგლებში დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია, უზრუნველყოს შესაბამისობა უზრუნველყოფის გეგმის ფარგლებით განსაზღვრული სხვადასხვა აქტივობების შესრულება, გეგმით დადგენილ ვადებში, 2021 წლის ბოლომდე

ხოლო "ინდიკატორი 5.1.2.-4 , რომლითაც დაწესებულება საგანმანათლებლო მიზენბისთვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/ მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას".

აქ, დაწესებულების შენობაში უსაფრთხოების კამერების შეძენისა და დამონტაჟებისთვის დამატებითი რესურსებით უზრუნველსაყოფი გეგმის გათვალისწინებით, მოცემულ ინდიკატორთან მიმართებაში იკვეთება სტანდარტთან "მეტწილი შესაბამისობა". ინდიკატორის ფარგლებში კი, დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია, უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმის ფარგლებით განსაზღვრული სხვადასხვა აქტივობების შესრულება, გეგმით დადგენილ ვადებში, 2021 წლის ბოლომდე

რაც შეხეება შემდეგ ინდიკატორებს: ინდიკატორი 5.2.3-1 პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს. ინდიკატორი "5.2.3.-3 პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას", ინდიკატორი "5.2.3.-6 საზოაგდოებასთან კომუნიკაციიის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად" - მოცემულ ინდიკატორებთან მიმართებით დაწესებულებას მიეცა, სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციები, გამომდინარე იქედან, რომ ვებგვერდზე არ იყო განთავსებული სხვადასხვა სახის განახლებული ინფორმაცია, ასევე განთავსებული ინფორმაცია არ იყო ლოგიკურად დალაგებული, შესაბამისად დანტერესებული მხარეებისთვის რთული ხდება საჭირო სახის ინფორმაციის მიღება. აღნიშნული ინდიკატორები, დასკვნის პროექტის ფარგლებში, შეფასდა როგორც "არ შეესაბამება"

არგუმენტირებულ პოზიციაში, ვებგვერდზე ტექნიკური უზუსტობების აღმოფხვრის, განთავსებული ინფორმაციის განახლებისა და აღნიშნული ინდიკატორების ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, დაწესებულებამ წარმოადგინა ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2021 წლის 03 დეკემბრის #01-10/100 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის გეგმა (ვადები 2021 წლის 06 დეკემბრიდან 2022 წლის 6 ივნისამდე), რომლის გათვალისწინებით, აღნიშნული ინდიკატორები, ექპერტთა მიერ, დასკვნის ფარგლებში შეფასდა, როგორც "მეტწილად შესაბამისი", ხოლო ინდიკატორების

ფარგლებში დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულება, რაც გულისხმობს არსებული პრობლემური საკითხების აღმოფხვრას დადგენილ ვადებში.
"ინდიკატორიი 5.2.3-4 საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ"
"ინდიკატორი 4.2.3-5 პროგრამების კაატლოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხოორციელებული ცვლილებების შესაბამისად' - ინდიკატორები, დასკვნის პროექტის ფარგლებში, შეფასდა როგორც "არ შეესაბამება", გამომდინარე იქედან, რომ ვიზიტის დროს, არ იყო წარმოდგენილო განახლებული კატალოგი, არსებული კატალოგი თარიღდებოდა 2019 და 2020 წლებით, რომლებშიც არ იყო განახლებული ინფორმაცია. შესაბამისად არსებული ინფორმაციის თანახმად , ვებგვერდზე განთავსებული კატალოგები ვერ ჩაითვლება დაინტერესებული პირებისთვის, პსდ-ს საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ ინფორმირების საშუალებად.
არგუმენტირებულ პოზიციაში, დაწესებულება დაეთანხმა ექპერტთა პოზიციას და წარმოადგინა ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის გეგმა, ხოლო როგორც დაწესებულების ვებგვერდზე, ისე მატერიალურად კატალოგების განახლების მიზნით, შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით, აღნიშნული ინდიკატორების ფარგლებში, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმის ფარგლებით განსაზღვრული აქტივობების შესრულება 2021 წლის 06 დეკემბრიდან 2022 წლის 6 ივნისამდე გეგმით დადგენილი ვადების ფარგლებში.
ექსპერტმა შეაჯამა განმავითარებელი რეკომენდაციები, მარეგულირებელ წესებსა და დაწესებულების მიერ შემუშავებულ სხვადასხვა სახის რეგულაციებსა და დოკუმენტაციებში, რომლებიც ვრცელდება პროფესიულ სტუდენტებზეც, გარდა სტუდენტის მითითებისა დაემატოს "პროფესიული სტუდენტი"-ს დასახელებაც.
"ინდიკატორი 5.1.1.-2 დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის" - დაწესებულების ინფრასტრუქტურა/ მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის, დაწესებულების მიერ შემუშავებული ერთგვარი რეგულაციებით. განსაზღვრულია რესურსებით სარგებლობის პირობები და ამ რესურსების ხელმისაწვდომობის პერიოდები, თუმცა ამასთან დაკავშირებით დაწესებულებას ეს რეკომენდაცია უზრუნველყოს ცალკეული სახის რეგულაციის შემუშავება, სხვადასხვა რეგულაციებში არსებული საკითხების თავმოყრა, დაწესებულების ინფრასტრუქტურის საერთო სარგებლობის სივრცეებითა და მატერიალური რესურსით დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომობის შესახებ და რეგულაციის ფარგლებში. ასევე, გაიწეროს ამ საკითხზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციები.
"ინდიკატორი 5.1.1-3 დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები - გარდა ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლება-მოვალეობებისა, დამატებით გაწეროს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციები და საჭიროების შემთხვევაში ზედამხედველობის კონტროლის მექანიზმები, ასევე, პერიოდულად უზრუნველყოს შენობაში ნესტისაგან გამოწვეული პრობლემების აღმოფხვრა/სარემონტო სამუშაო.
"ინდიკატორი 5.1.1-7 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას" - უნივერისტეტში მოქმედი რეგულაციები უზრუნველყოფს მატერიალური რესურსების შეფასებას და განვითარებას, თუმცა დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების პირების საქმიანობა, ფუნქციები, რესურსების შეფასების ნაწილში, სრულად და მკაფიოდ გაიწეროს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმში.
ასევე, დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაციები.

"ინდიკატორი 5.1.2-1 დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები" - დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებზე დაყრდნობით ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, მაგრამ ამასთანავე ინდიკატორის ფარგლებში, დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურში დასაქმებული ყველა პოზიციისთვის გაწეროს სამუშაო აღწერილობები, ხოლო დაცვის თანამშრომლების მორიგეობის განრიგის დოკუმენტში მითითებული იქნას ასევე ობიექტის მისამართი.

"ინდიკატორი 5.1.2-2 დაწესებულებაშ მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოცენის მექანიზმები" - დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით და ვიზუალური დათვალიერების გათვალისწინებით ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, თუმცა ამასთანავე ექსპერტების მოსაზრებით, გამომდინარე იქედან, რომ სიაში გაწერილია ექიმი-თერაპევტის ფუნქციები, ხოლო დაწესებულებას ასევე დამატებით ყავს პირველად გადაუდებელ დახმარებაზე პასუხისმგებელი პირები, შესაბამისად რეკომენდირებული გარდა ექიმ-თერაპევტის ფუნქციებისა, პირველადი დახმარების გაწევაზე პასუხისმგებელი სხვა პირებისთვისაც გაიწეროს სამუშაო აღწერილობები.

"ინდიკატორი 5.2.1-3 დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას" - დაწესებულება სხვადასხვა დოკუმენტაციაში არსებული პუნქტებით, არეგულირებს პერსონალური მონაცემების დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს, შესაბამისად იგი რეგულირდება სხვდასხვა აქტებით, თუმცა ექსპერტთა მიერ ინდიკატორის ფარგლებში დაწესებულებას ჰქონდა განმავიტარებელი სახის რეკომენდაცია, ერთიანი რეგულაციის შემუშავების რომელშიც უფრო დეტალურად გაწერს, კანონმდებლობის შესაბამისად პერსონალური მონაცემების დაცვასთან (გასაჯაროება, წარდგენა, შენახვა და სხვა) დაკავშირებულ საკითხებს და ასევე უფრო მკაფიოდ გამოაჩენს პროფესიული სტუდენტების და პერსონალის თანხმობის აღნიშნულ საკითხებზე .

"ინდიკატორი 5.2.1-4 პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას" - ინდიკატორი სრულად დაკმაყოფილებული, თუმცა დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, გარდა ახლა მოქმედ პერსონალის სამუშაო აღწერილობის დოკუმენტში მოხსენიებული ზოგადი ფუნქციებისა, რომლებიც აკისრია ხარისხის თანამშრომლებს, საინფორმაციო სტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობის კუთხით, მკაფიოდ გაწეროს კონკრეტული პასუხისმგებელი პირის ფუნქცია-მოვალეობები.

ექსპერტმა შეაჯამა განმავითარებელი რეკომენდაციები თითოეული პროგრამისათვის.

"ინდიკატორი 2.4.1-1 პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად"

პროგრამის "მებაღეობა" ფარგლებში დაწესებულების მიერ პროგრამის სასწავლო გეგმა აწყობილია დაშვების წინაპირობების გათვალისწინებით, თუმცა გათვალისწინებულია სეზონური ფაქტორი მოდულების განხორციელების პროცესში, შესაბამისად დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია, მოახდინოს მოდულების გახორციელების თანმიმდევრობის დაცვა სეზონურობის გათვალისწინებით

"ინდიკატორი 2.4.2-1 პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური".

ექსპერტთა აზრით, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური,სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური, თუმცა დაწესებულების მიერ შემუშავებული რეგულაციით არ არის დაზუსტებული სხვადასხვა სახის ინფორმაცია და ვერიფიკაციის მექანიზმში წარმოდგენილი რიგი პუნქტები საჭიროებს დაზუსტებას/დამატებას, გამომდინარე აქედან დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია უზრუნველყოს აღნიშნული საკითხების დაზუსტება რეგულაციის ფარგლებში.

დაწესებულებას არ აქვს დადგენილი ვადები, თუ როდის ახორციელებს ვერიფიკაციის პროცესს, არ იკვეთება ინფორმაცია, არის თუ არა მისი განხორციელება დაგეგმილი პროგრამის დასრულების შემდგომ , თუ სხვა ეტაპზე . პროგრამა "მებაღეობა" სრულდება წელს, შესაძლებელი ვერიფიკაცია განხორციელდეს პროგრამის დასრულების შემდგომ, თუმცა

ვერიფიკაციის მექანიზმში განსაზღვრული არ არის ვერიფიკაციის ჩატარების ვადები. შესაბამისად დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია აღნიშნული საკითხის მექანიზმში დაზუსტებასთან დაკავშირებით.
მარეგულირებელი წესის მე-12 მუხლის სხვადსხვა პუნქტებში არასწორად არის აღნიშნული ტერმინი "ვერიფიკაცია", მაშინ როდესაც, ნაგულისხმევია "ვალიდაცია". რეკომენდაციაა: უზრუნველყოს აღნიშნული უზუსტობის გამოსწორება, გარდა ამისა, რეგულაციით განსაზღვრულია პროფესიულის სტუდენტის ინფორმაციის შეფასების თაობაზე მიწოდების საკითხის რომლის საფუძველზეც იგი შეფასების შესახებ, ინფორმაციას იღებს, მაქსიმუმ 3 სამუშაო დღის ვადაში. თუმცა, აღნიშნული ჩანაწერი საჭიროებს დაზუსტებას, თუ საიდან იწყება ამ ვადის ათვლა, რეგულაციის ფარგლებში არ იკვეთება სტუდენტებისათვის შეფასების შედეგების გაცნობაზე პასუხისმგებელი პირი, რაც ასევე საჭიროებს დაზუსტებას.
მარეგულირებელ წესში აპელაციასთან და განმეორებითი შეფასების დანიშვნასთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ სტუდენტს შეუძლია გაასაჩივროს შეფასების შედეგები, რისთვისაც წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს ცენტრის დირექტორს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას, შედეგის კომისიური წესით განხილვა/განუხილველობის თაობაზე, თუმცა ამ მუხლის ფარგლებში არ არის აღნიშნული ინფორამცია იმის შესახებ, თუ რა შემთხვევაში ან რატომ არ განიხილავს კომისია შეფასების საკითხს, რაც ასევე რეკომენდირებულია, რომ დაზუსტდეს და გაიწეროს რეგულაციით.
რაც შეეხება სტანდარტ 5-ს, ამ შემთხვევაში ექსპერტმა გააკეთა კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის მიმოხილვა და ანალიზი.
5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა
5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.
დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურით და მატერიალური რესურსით, მინიმუმ ავტორიზაციის ვადით.
დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და ამტერიალური რესურსით მოსარგებლის არსებობის ვადით, უძრავი ქონების მფლობელობასთან დაკავშირებით დაწესებულებამ წარმოადგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან შენობის შიდა აზომვითი ნახაზი და ფორმა სხვადასხვა სივრცეების ფლობის შესახებ.
მოძრავი ქონებისა და სასწავლო რესურსის ფლობის დასადასტურებლად წარმოდგენილ იქნა სხვადასხვა სახის დოკუმენტაცია, მათ შორის: სხვადასხვა ორგანიზაციასთან გაფორმებული შესყიდვის ხელშეკრულებები, სასწავლო რესურსის, ავეჯის, სხვადასხვა სახის კომპიუტერული რესურსის შეძენის შესახებ, მიღება-ჩაბარების აქტები, რომელთა განხილვის შედეგად დგინდება, რომ დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით, მინიმუმ ავტორიზაციის ვადით.
დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალურ რესურსი, დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიულის სტუდენტებისთვის.
დაწესებულებას გააჩნია სხვადასხვა დანიშნულების სივრცეები მატერიალურ-ტექნიკური ბაზა საინფორმაციო სასწავლო რესურსები და საშუალებები და სტუდენტებს აძლევს ამ რესურსებით სარგებლობის შესაძლებლობას.
ბსუ-ს პროფესიულის სტუდენტის გზამკვლევის ფარგლებში რეგულირდება უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით სარგებლობის და განსაზღვრულია ამ რესურსების ხელმისაწვდომობის პერიოდები(დრო). გზამკვლევის მიხედვით უნივერსიტეტის სტუდენტსა და პერსონალს სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის განსახორციელებლად საშუალება აქვთ ისარგებლონ უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით, როგორებიცაა; კომპიუტერები, პროექტორები, ქსეროქსის აპარატები, რომლებიც განთავსებულია დაწესებულების კომპიუტერულ აუდიტორიებში, სამუშაო ოთახებში, დერეფნებსა და

ბიბლიოთეკაში, უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრულია პროფესიულის სტუდენტის ერთ-ერთი უფლება, ისარგებლოს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით.
წესდებაში ასევე აღნიშნულია, რომ უნივერსიტეტს გააჩნია სტუდენტთა რაოდენობის შესაბამისი სასწავლო ფართი, რომელსაც ადმინისტრაცია ანაწილებს რაციონალურად და ადმინისტრაცია ვალდებულია შესაბამისი პირობები შეუქმნას სტუდენტებს სასწავლო-სამეცნიერო საქმის წარმატებით განხორციელებისათვის.
განმავითარებელი სახის რეკომენდაცია - უზრუნველყოს ცალკეული სახის რეგულაციის შემუშავება, ამასთან დაკავშირებით, სხვადასხვა რეგულაციებში არსებული საკითხების თავმოყრა, დაწესებულების ინფრასტრუქტურით, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეებითა და მატერიალური რესურსით დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომობის შესახებ და რეგულაციის ფარგლებში, ასევე, გაწეროს ამ საკითხზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციები.
შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მიზნით, გამოყოფილია შესაბამისი პასუხისმგებელი პირი, რომლის ხელშეკრულებაშიც გარკვეულწილად არის გადმოცემული დასაქმებულისა და დამსაქმებლის უფლება-მოვალეობები, სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმი, თუმცა, უმჯობესია, რომ დამატებით გაიწეროს გასატარებელი ქმედებები სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვისთვის, რომელშიც განსაზღვრული იქნება შენობაში არსებული სივრცეების დასუფთავების წესი, პერიოდულობა და სხვა.
ბსუ-ს მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ სივრცეებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. შენობას აქვს წყალმომარაგება, აუდიტორიები უზრუნველყოფილია სადეზინფექციო საშუალებებით. შენობაში არის გამიჯნული სველი წერტილები, ასევე, შშმ პირებისთვის ადაპტირებულისველი წერტილები .
ექსპერტის თქმით, დაწესებულების ზოგიერთ ფართში საჭიროა იატაკის სრულად მოწესრიგება, რაც გამოწვეულია ჩატარებული სარემონტო სამუშაოებით, ასევე ნესტისგან დაზიანებული კედლების შეკეთება/გაუმჯობესება, რომელსაც, როგორც გასაუბრებისას გაირკვა, პერიოდულად ახდენდნენ.
დაწესებულების შენობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით, რაც დასტურდება სისტემის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ხარჯების დოკუმენტაციით.ვიზიტის დროს, შრომის და სწავლის პირობებისთვის შენობაში არსებული მდგომარეობით.
დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები დაწესებულებაში, შრომის უსაფრთხოების დაცვის მიზნით, არსებობს მექანიზმები და ხორციელდება შესაბამისი აქტივობები. აგრეთვე, არსებობს შრომის უსაფრთხოების სამსახური, რომლის ამოცანაა უზრუნველყოს დაცვის ისეთი სისტემის შექმნა და აღსრულება, რომელიც დასაქმებულისა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირის სიცოცხლისთვის ჯანსაღ და უსაფრთხო საქმიანობის პირობებს შექმნის. სამსახურის ფუნქცია-მოვალეობებია: საფრთხის შემცველი ფაქტორების გამოვლენა, სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევების აღრიცხვა, დასაქმებულებისთვის ორგანიზაციის შრომის, უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის შესახებ განახლებული შიდა რეგულაციების გაცნობა, მათთვის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სწავლების და ინსტრუქტაჟის ჩატარება და სხვა.
დაწესებულებას ჰყავს ადმინისტრაციის ორი თანამშრომელი, რომლებმაც გაიარეს ტრენინგი შრომის უსაფრთხოების მიმართულებით, „უსაფრთხოების ნორმები პროფესიულ საგანმანთლებლო დაწესებულებაში“, რაც დასტურდება დაწესებულება "Education“ მიერ (წითელი ჯვარი და UNDP) გაცემული სერტიფიკატით და მათი დანიშვნის ბრძანება .
როგორც აღინიშნა, ასევე უნივერსიტეტს ჰყავს შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი 3 სერტიფიცირებული სპეციალისტი, რომელთა საქმიანობა მოიცავს უნივერსიტეტის

სარგებლობაში არსებულ ყველა ფართში/სამუშაო სივრცეში კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებას.
დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულის შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას. დაწესებულებას შემუშავებული აქვს გარკვეული მექანიზმები, თუ როგორ ახდენს პროგრამის განხორციელებისათვის, სასწავლო პროცესისათვის საჭირო რესურსებით უზრუნველყოფას და მათ შენახვა-გამოყენებას.
სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, გაწერილია პროცედურები პასუხისმგებელი პირების მითითებით. რეგულაციის მიხედვით, პროგრამის სასწავლო გეგმის გათვალისწინებით, დაწესებულება უზრუნველყოფს ბსუ-ს ადმინისტრაციისათვის მასალებისა და ნედლეულის მოთხოვნის წარდგენას შესაბამისი მოდულის დაწყებამდე არაუგვიანეს 3 თვისა. სასწავლო მიზნებისათვის მასალებისა და ნედლეულის გადაცემას ახორციელებს ბსუ-ს მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტი. ცენტრში მასალებისა და ნედლეულის შენახვა ხორციელდება შენახვის წესების დაცვით. მარეგულირებელი წესის ფარგლებში, ასევე, რეგულირდება დაწესებულებაში ტექნოლოგიური პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების მართვის პროცესი.
დაწესებულებას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებას და განვითარებას. მექანიზმი ასევე მოიცავს კვლევის კომპონენტს რესურსების არსებობასთან, საკმარის რელევანტურობასთან დაკავშირებით, რომლის შეფასების საფუძველზე დაწესებულება იმუშავებს განვითარების გეგმას და ახორციელებს რესურსის გაუმჯობესებას.
ხარისხის მენეჯერი მონიტორინგს უწევს ბსუ-ს, პროფესიული განათლების მიმართულებით ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების, პროფესიული განათლების სტანდარტებთან შესაბამისობას და ახდენს მათ შეფასებასა და განვითარებას. "მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის ფუნქციაა მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის მოვლა-პატრონობისა და ასევე „უნივერსიტეტის ბალანსზე არსებული ამორტიზირებული ან/და ექსპლუატაციისთვის უვარგისი, ჩამოსაწერი ქონების ნუსხის შედგენისა და შესაბამისი ინფორმაციის ადმინისტრაციის ხელმღვანელისთვის წარდგენის შესახებ“.
პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდამ მარაგდება წყლით, აქვთ უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებული, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის. შენობა ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მარაგდება წყლით და აქვთ როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათება, ვენტილაცია. დაწესებულების შენობას ასევე დამონტაჟებული აქვს პანდუსი, შშმ პირებისთვის ადაპტირებული სველი წერტილები, რომლებიც განთავსებულია შენობის ორ სართულზე და ლიფტი.
ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი სპეციფიკური მიზნებისთვის გამოყენებული განათება, ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა. სათავსოებისა და სივრცის განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას.
დაწესებულების მფლობელობაში არსებულ სასწავლო მიზნებისთვის განკუთვნილ სივრცეებს, სადაც პროფესიულ სტუდენტებს და ადმინისტრაციულ პერსონალს უხდება სწავლა/მუშაობა, აქვთ როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა, რაც უზრუნველყოფს სწავლის შესაბამის პირობებს.
სასწავლო შენობა მოიცავს თეორიული სწავლებისა და კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილ აუდიტორიებს, ადმინისტრაციულ სივრცეს, სამუშაო სივრცეს პროგრამის განმახორციელებელი პირებისათვის, სამუშაო და დასასვენებელ სივრცეს, რომლებიც წარმოდგენილია ერთ

სივრცეში. სანიტარიულ კვანძებს, ბიბლიოთეკას, დარგობრივი სპეციფიკის შესაბამის კაბინეტებს, სივრცეს არქივისთვის.
შენობის შიდა აზომვითი ნახაზისა და ასევე სხვადასხვა სივრცეების ფლობის შესახებ შევსებული ფორმის განხილვისა და შენობის დათვალიერების შედეგად დგინდება, რომ სივრცეების განლაგება ადეკვატურია საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესების განსახორციელებლად და სივრცეების განლაგება ხელს არ უშლის საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას.
მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. ბიბლიოთეკა აღჭურვილია საჭირო ინვენტარითა და ინტერნეტკავშირით უზრუნველყოფილი კომპიუტერული ტექნიკით, სადაც ხელმისაწვდომია ელექტრონული ბიბლიოთეკა, აღნიშნულით სარგებლობის უფლება აქვთ დაწესებულების პერსონალსა და სტუდენტებს. ბიბლიოთეკარი, უზრუნველყოფს წიგნადი ფონდების გამდიდრებას და მათ მოვლა-პატრონობას, ასევე პასუხისმგებელია საგანმანათლებლო პროგრამებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსის ელექტრონული სახით ან ბსუ-ს ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით ხელმისაწვდომობაზეც. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომელიც ასევე გამოკრულია ბიბილიოთეკაში, თვალსაჩინო ადგილას. ბიბლიოთეკაში არსებული საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. წესის მიხედვით, ასევე გაწერილია ბიბლიოთკის წიგნადი ფონდით და კომპიუტერული ტექნიკით, ელექტრონული რესურსებით სარგებლობის უფლებები, პირობები და ვადები.
რაც შეეხება ინდიკატორს 5.1 და 5.1.2, ექსპერტმა აღნიშნა, რომ 2021 წლის 24 მარტს, სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სამსახურის მიერ, განხორციელდა სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, შენობა ნაგებობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმება, დაწესებულებას, ასევე, აქვს დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, დასკვნის თანახმად, შენობა-ნაგებობა სრულად არ აკმაყოფილებს მოთხოვნებს, რომლის გამოსასწორებლადაც დაწესებულებას შემუშავებული აქვს შესაბამისობის გეგმა, რომლითაც განსაზღვრულია სხვადასხვა აქტივობები, პასუხისმგებელი სტრუქტურა, შემსრულებელი, დაფინანსების წყარო და ოდენობა.
შემუშავებულია საპროექტო დოკუმენტაცია და მიმდინარეობს სატენდერო წინადადების მომზადება, რომლის ფარგლებშიც გეგმით დადგენილი პროცესების უზრუნველყოფა ნავარაუდევია 2021 წლის ბოლომდე.
საექსპერტო დასკვნა, შენობის ტექნიკური მდგომარეობის (მდგრადობა) შესახებ, რომელიც გაცემულია პ ინჟინერ-მშენებლის მიერ. დასკვნის თანახმად, სასწავლო და საცხოვრებელი შენობების ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებულია, უზრუნველყოფილია მისი საერთო მდგრადობა, სიმტკიცე, უსაფრთხო ექსპლუატაცია.
დაწესებულებაში სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნაზე პასუხისმგებელია დაცვისა და უსაფრთხოების განყოფილება. ამ ეტაპზე, დაცვის თანამშრომლებს უწევთ სამუშაოს განხორციელება უნივერსიტეტის მფლობელობაში მყოფ სხვადასხვა ობიექტებზე. დასაქმებულია 4 თანამშრომელი, რომელთა ობიექტებზე მორიგეობის პერიოდულობას ადგენს დაცვის განყოფილების უფროსი.
რეკომენდაციაა, გარდა უფროსის მოვალეობებისა, დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურში დასაქმებული ყველა პოზიციისთვის გაიწეროს სამუშაო აღწერილობები.
ექსპერტის თქმით, დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების მექანიზმები დაწესებულების შემუშავებული აქვს პირველადი სამედიცინო დახმარების მიღების ინსტრუქცია, განსაზღვრულია პირველადი დახმარების აღმოჩენის შესახებ მექანიზმები.
არსებობს პირველადი დახმარების კაბინეტი, რომელიც მდებარეობს დაწესებულების მიმდებარედ სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში, ხოლო ლეონიძის ქ. #15 ში მდებარე

შენობაში, ასევე, გამოყოფილია საიზოლაციო ოთახი, რომელიც გამოიყენება პირველადი დახმარების დანიშნულებით.
ოთახი არის ნათელი, ნიავდება ბუნებრივი წესით, აღჭურვილია ხელსაბანით, სადეზინფექციო ხსნარით, პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისთვის საჭირო ინვენტარით: პირველადი დახმარების ჩანთა მედიკამენტებით, თერმომეტრით. ჰყავთ პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენაზე პასუხისმგებელი პირი, ექიმი თერაპევტი. ასევე, დაწესებულებას დამატებით ჰყავს ადმინისტრაციის ორი თანამშრომელი, რომლებმაც გაიარეს ტრენინგი პირველადი გადაუდებელი დამხარების მიმართულებით.
რაც შეეხება დაწესებულებაში მოქმედ საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმებს, აქ ექსპერტმა აღნიშნა, რომ სახანძრო უსაფრთხოების ფარგლებში, დაწესებულებას შემუშავებული აქვს მართვის გეგმა, რომლის ფარგლებშიც დაწესებულებას აქვს შემუშავებული გარკვეული მექანიზმები საგანგებო სიტუაციების ეფექტური მართვისათვის. აღნიშნული ცვლილებით დამატებულია ცენტრის მისამართი, მაგრამ შემუშავებული საევაკუაციო გეგმები არ მოიცავს ცენტრის მისამართს, რაც საჭიროებს სრულ შესაბამისობაში მოყვანას და საევაკუაციო გეგმის შემუშავებას ლეონიძის №15-ში მდებარე შენობისთვის.
დაწესებულების შენობაში, განთავსებულია ხანძარჩამქრობი მოწყობილობები და თვალსაჩინო ადგილებში, ასევე, გამოკრულია საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისა და ევაკუაციის შემთხვევაში რეკომენდირებული ქცევის წესები, თუმცა არ არის შემუშავებული საევაკუაციო გეგმები, კონკრეტულად ლეონიძის №15-ში მდებარე შენობისთვის, რისი გამოსწორებაც უნდა მოხდეს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის ფარგლებში, რომლითაც განსაზღვრულია სხვადასხვა აქტივობები, შემსრულებელი და პასუხისმგებელი სტრუქტურა, დაფინანსების წყარო და ოდენობა. გეგმით დადგენილი პროცესების უზრუნველყოფა კი ნავარაუდევია 2021 წლის ბოლომდე.
ჩამოთვლილი ფაქტორების გათვალისწინებით, მოცემულ ინდიკატორთან მიმართებაში იკვეთება სტანდარტთან "მეტწილი შესაბამისობა",
ხოლო დაწესებულების საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ საკუთრებაში, მფლობელობაში არსებულ მთელ პარამეტრზე დაცვის უზრუნველყოფას რაც შეეხება, აქ ექსპერტი განმარტავს, რომ დაწესებულება სრულად არ არის აღჭურვილი ვიდეოჩანაწერების შენახვის ფუნქციის მქონე ვიდეოკამერებით, რომლის გამოსწორებაც ასევე იგეგმება, დაწესებულების მიერ შემუშავებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის ფარგლებში, რაც დასტურდება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, 2021 წლის 21 ოქტომბრის ბრძანებით #01-1090 დამტკიცებული გეგმით ”დაწესებულების შენობაში ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის სრულად გამართვისთვის და უსაფრთხოების კამერების შეძენისა და დამონტაჟებისთვის დამატებითი რესურსებით უზრუნველსაყოფი გეგმების დამტკიცების შესახებ”. გეგმით დადგენილი პროცესების უზრუნველყოფა კი იგეგმება 2021 წლის ბოლომდე.
აღნიშნულის გათვალისწინებით, მოცემული ინდიკატორის ფარგლებში დაწესებულება ფასდება “მეტწილ შესაბამისად”,
5.2 საინფორმაციო რესურსები
5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას:
1. პსა-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება, დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

ექსპერტის თქმით, დაწესებულებას გააჩნია სასწავლო პროცესისა და ადმინისტრაციული საქმიანობის შესაბამისი ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა, უზრუნველყოფს პროგრამულ უზრუნველყოფას, რომლის ადმინისტრირებას და დოკუმენტაციის (მათ შორის დომენის, ჰოსტინგისა და უსაფრთხოების სერტიფიკატის) შენახვას ახორციელებს ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური.
ვიზიტის ფარგლებში დადგინდა, რომ დაწესებულება ასევე აღჭურვილია ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესისათვის საკმარისი სათანადო პარამეტრების მქონე კომპიუტერების რაოდენობითა პროგრამული უზრუნველყოფით, რაც უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებელ წარმართვას. შენობა აღჭურვილია 3 კომპიუტერული კლასით (თითოეულში 21 კომპიუტერი 1 მასწავლებლის და 20 სტუდენტის), ბიბლიოთეკაში განთავსებულია კომპიუტერი, დერეფანში განთავსებულია 3 კომპიუტერი.
ხელმისაწვდომია როგორც უკაბელო, ასევე კაბელიანი ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინტერნეტი, რაც ასევე დასტურდება ინტერნეტ პროვაიდერთან, შპს "georgianairlik"-თან გაფორმებული 2021 წლის 29 იანვრის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით და ვიზიტის დროს ადგილზე გადამოწმებით.
დაწესებულებას შემუშავებული აქვს ინფორმაციიული ტექნოლოგიების მართვის პროცედურები, სადაც აღწერილია ინფორმაციული უსაფრთხოების რისკების მართვა, რისკების მართვის მიზნით გასატარებელი პროცედურების ღონისძიებების ჩამონათვალით.
იდენტიფიცირებულია დაწესებულებისათვის კრიტიკულად მნიშვნელოვანი ინფორმაციის განთავსების ადგილზე არსებული ინფორმაციის რეზერვაცია, რაც ხდება ხდება სერვერზე და ინტერნეტ სივრცეში.
დაწესებულების ვებგვერდი და მისი ყველა ქვედომენი დაცულია უსაფრთხოების SSL სერთიფიკატით, რისთვისაც დაწესებულება იყენებს ლიცენზირებულ ანტივირუსს ESET Dynamic Endpoint Protection
დაწესებულებაში IT რისკების პრევენცია ხორციელდება რეგულაციებით გათვალისწინებული დაცვის უფასო სისტემის მეშვეობითაც, შესაბამისად, აღნიშნული არ იწვევს ინდიკატორის მოითხოვნების დარღვევას და მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ ყველა ორივე პროგრამის ფარგლებში მსგავსი განმავითარებელი რეკომენდაციები იქნა გაცემული.
როგორც ექსპერტმა აღნიშნა, დაწესებულება პერიოდულად აუმჯობესებს IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას.
"ZOOM"-ის საგანმანათლებლო ვერსიის ლიცენზია, 60 მომხმარებელზე 1 წლის ვადით გაიცა.
ხარისხის მენეჯერი და კოორდინატორი მონიტორინგს უწევს ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით, ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების პროფესიული განათლების სტანდარტებთან შესაბამისობას და ახდენს მათ შეფასებას, აფასებს როგორც ტექნიკური აღჭურვილობის, ისე IT პროფესიების ეფექტიანობას.
ინდიკატორის ფარგლებში დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია, გარდა ახლა მოქმედ პერსონალის სამუშაო აღწერილობის დოკუმენტში მოხსენიებული ზოგადი ფუნქციებისა, რომლებიც აკისრია ხარისხის თანამშრომლებს, საინფორმაცო ინფრასტრუქტურისა და იტ პროცესების სისტემის ეფექტიანობის კუთხით მკაფიოდ გაწეროს კონკრეტული პასუხისმგებელი პირის ფუნქცია-მოვალეობები.
არსებობს კომპიუტერები ადმინისტრაციისათვის, მასწავლებლებისა და სტუდენტებისათვის, უკაბელო ინტერნეტით სარგებლობა თავისუფალ რეჟიმში, როგორც ადმინისტრაციის, ისე მასწავლებლისა და სტუდენტებისათვის.
დაწესებულებას ადგილზე არ ჰყავს კონკრეტულად ლეონიძის #15-ში მდებარე შეონიბისთვის გამოყოფილი IT სპეციალისტი. ისინი შედიან უნივერსიტეტის დაცვის სამსახურის დაქვემდებარებაში და როგორც პასუხისმგებელ პირებთან საუბრისას ირკვევა, საჭიროების შემთხვევაში ხდება სპეციალისტის ადგილზე მობილიზება. ელფოსტის ერთიანი ჯგუფი პროფესიული სტუდენტებისათვის პერსონლის და სტუდენტებისათვის არსებობს ბსუ-ს

კორპორატიული ელ.ფოსტები დომენით bsu.edu.ge და bsu.ge სტუდენტური პორტალი პორტალ.ბსუ.გე და სოციალურ გვერდი/ჯგუფი.
ექსპერტის თქმით, ბსუ-ს შემუშავებული აქვს საქმისწარმოების სამსახურის (კანცელარია) დებულება "საქმისწარმოების სამსახური" (კანცელარია) ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წინაშე, საქმისწარმოების ინსტრუქცია განსაზღვრავს ბსუ-ში დოკუმენტების მიღების რეგისტრაციისა და გაგზავნის დოკუმენტის (წერილების სამართლებრივი აქტების და ოქმების) შედგენის გაფორმებას, ხელშეკრულების, მემორანდუმების, შეთანხმებების შედგენის გაფორმების ვიზირებასა და რეგისტრაციის საკითხებს, ასევე, სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული დავალებების შესრულების ვადებისა და კონტროლს. უნივერსიტეტის პერსონალის პირადი საქმეთა წარმოების, სტუდენტისა და პროფესიული სტუდენტის პირადი საქმეების წარმოების საქმეთა ფორმირების, მათი არქივისათვის გადაცემისა და საარქივო დოკუმენტების გამოყენების და ა.შ საკითხებს.
დაწესებულება მართვაში იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს, კერძოდ იყენებს საქმის წარმოების ელექტრონულ სისტემას EFLOW, კანცელარიაში დოკუმენტები გადიან პირველად დამუშავებას, წინასწარ გარჩევას ელექტრონული მართვის სისტემის მეშვეობით რეგისტრაციას (eflow.emis.ge),უნივერსიტეტიდან კი კორესპოდენცია იგზავნება ელექტრონულად eflow.emis.ge-ს მეშვეობით.
დაწესებულებას, ასევე, აქვს სახვადასხვა სახის ელექტრონული სერვისები და სისტემები როგორებიცაა: სასწავლო პროცესისს მართვის ელექტრონულის სისტემა (emis.bsu.edu.ge), საქმისწარმოების მართვის ელექტრონული სისტემა(eflow.emis.ge), ბიბლოთეკის კატალოგის მართვის პროგრამა openbiblio.bibliobsu.edu.ge, შიდასაუნივერსიტეტო ელექტრონული ბიბლიოთეკა ms Office.
ასევე ექსპერტის თქმით, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით დამტკიცებულია ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის პროფესიული პროგრამების მართვის მიმართულებით დასაქმებული პერსონალის სამუშაო აღჭურვილობები.
"ცენტრის სპეციალისტი" (ხარისხის მართვის კოორდინატორი) "ვ" ქვეპუნქტის მიხიედვით აღნშნული პირი უზრუნველყოფს განათლების მართვის საინფორმაცო სისტემაში(vet.emis.ge; evet.emis.ge; tvet.emis.ge) სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას.
ასევე, ხარისხის მართვის მენეჯერი "მონიტორინგს უწევს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანის პროცესს"
ვიზიტის ფარგლებში სასწავლო პროცესის მენეჯერმა უზრუნველყო ექსპერტებისათვის ბაზაში შეტანილი ინფორმაციის ჩვენება, რომლის ფარგლებში გადამოწმდა პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ინფორმაციის ასახვის საკითხები, კანონმდებლობით დადგენილი წესსა და ვადებთან მიმართებით, რისი გადამოწმების საფუძველზეც პსდ-უზრუნველყოფს სრულყოფილი ინფორმაციის ასახვას განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით.
ხარისხის მართვის მენეჯერი პასუხისმგებელია საგანმანათლებლო საქმიანობაზე - კონტროლის განმახორციელებელ უწყებებთან სწორი და დროული კომუნიკაციის განხორციელებაზე.აღნიშნული შემოწმდა, ასევე ვიზიტის ფარგლებში პასუხიმგებელი პირის მიერ პირადი გვერდიდან გაგზავნილი ბოლო კორესპოდენციის ფარგლებში, რომლის გადამოწმების შედეგები სრულად შეესაბამება აღნიშნული ინდიკატორების მოთხოვნებს.

რაც შეეხება "ინდტკატორ 5.2 საინფორმაციო რესურსები და "ინდიკატორ 5.2.3 პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას". პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო - საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს. პსდ

უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. აქ ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნული ინდიკატორები დასკვნის პროექტში შეფასდა როგორც, "არ შეესაბამება", თუმცა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფმა, ვინაიდან ეს ინდიკატორები აისახა შესაბამისობის გეგმაში, რომლის ფარგლებშიც მათ უნდა უზრუნველყონ შემდგომი 6 თვის განმავლობაში ამ საკითხების მოწესრიგება, დაწესებულებას მიეცა ამ სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციები.

ხოლო დაწესებულების ვებგვერდს რაც შეეხება, პროგრამა ხორციელდება ქართულ ენაზე თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ იგი ასევე ახორციელებს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებსაც და მისი ერთ-ერთი მისიაა მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავოს ეროვნულ და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში, აქვს ორენოვანი ვებგვერდი, უცხოენოვანი ოფიციალური ვებგვერდის მისამართი: https://bsu.edu.ge/?lang=en. სადაც განთვასებულია ძირითადი ინფორმაცია დაწესებულების შესახებ, როგორიცაა: ისტორია, მისია, სასწავლო მიმართულებები, ინფორმაცია პერსონალისა და პროგრამების შესახებ, კვლევები, სიახლეები და სხვა. ასევე დამატებულია, უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ველი და პროგრამების ჩამონათვალი.

ბსუ-ს ოფიციალური ვებგვერდის ადმინისტრირება ხორციელდება ქართულ ენაზე ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მიერ, ამ წესითა და ამ სტრუქტურული ერთეულების კომპეტენციის ფარგლებში, ხოლო ინგლისურ ენაზე, ასევე შესაბამისი კომპეტენტური პირის(სტრუქტურის) მიერ.

რაც ეეხება კატალოგებს, ამასთან დაკავშირებით არის "მეტწილად შესაბამისი" შეფასეული, რადგან დაწესებულებამ ეს საკითხებიც ასახა შესაბამისობის გეგმაში.

ექსპერტი გადავიდა უშალოდ "მებაღეობის" პროგრამის შეფასებაზე, დაწესებულებას გათვალისწინებული აქვს A, B სასწავლო გარემოებში პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო ადგილების რაოდენობა: 40/20.

რაც შეეხება C -გარემოს, სასწავლებელსა და ბათუმის ბოტანიკურ ბაღსა და სსიპ აჭარის სატყეო სააგენტოს შორის გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის თანახმადაც, პროგრამის პრაქტიკული ნაწილი ხორციელდება პრაქტიკის განმახორციელებელ ობიექტებზე, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

დოკუმენტაციისა და დათვალიერების ანალიზით დასტურდება, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

ექსპერტის თქმით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა " მებაღეობა" ისეა აგებული, რომ მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა იძლევა პროგრამის სრულფასოვნად განხორციელების შესაძლებლობას, პროგრამას ჰყავს, სულ 25 პროფესიული განათლების მასწავლებელი, დარგობრივი - 15. მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა განაწილებულია მოდულების შესაბამისად, სხვადასხვა ფაქტორების შესაბამისად, რომლითაც უზრუნველყოფილია პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

მასწავლებელების შერჩევა ხდება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელისა და მის მიერ ერთობლივად კანდიდატების კვალიფიკაციის გამოცდილებისა და შესაბამისი დოკუმენტების გათვალისწინებით, ხოლო თუ კი ამ წესით ვერ მოხდა შესაბამისი კვალიფიკაციის პირების შერჩევა, შემდგომ მასწავლებელთა შესარჩევადაც ცხადდება ღია კონკურსი.

დოკუმენტაციის შესწავლით და გასაუბრების შედეგებით დასტურდება, რომ პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძრვანელი და თანახელმძღვანელი, რომლის კომპეტენცია დასტურდება შესაბამისი განათლებითა და პრაქტიკული გამოცდილებით. ექსპერტმა, ასევე, განმარტა, რომ დაწესებულებას აქვს, ბიბლიოთეკა, სადაც გამოყოფილია 4 სამუშაო კომპიუტერი პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებშიც ჩატვირთულია საჭირო საგანმანათლებლო რესურსები.
პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომია დაწესებულებაში არსებულ ბიბლიოთეკაში, ამასთან ყველა მათგანი არის ელექტრონული სახით ელქტრონულ ბიბლიოთეკაში, ხოლო ზოგიერთი რესურსი წარმოდგენილია, ასევე მატერიალურადაც.
არსებული სასწავლო რესურსი ბიბლიოთეკის წესის შესაბამისად, ასევ, ასახულია დაწესებულების ვებგვერდზეც.
ამასთან, დაწესებულებას, ექსპერტის განმარტებით, არ ჰქონია რესურსების ადაპტირებისა და ინდგეგმის შემუშავების საჭიროება, თუმცა აქვს შემუშავებული მექანიზმი, რომელიც არეგულირებს სსსმ პირების მომსახურეობასთან დაკავშირებით რესურსების ადაპტირებასა და ხელმისაწვდომობას.
საჭიროების შემთხვევაში სსსმ პირებს წვდომა ექნებათ პროგრამით ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალსიწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირდება სსსმ პირების საჭიროებებსა და მოთხოვნილებებთან.
სსსმ პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო პროცესში სრულყოფილი ინტეგრირება განხორციელდება ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტების, სსსმ პირის გადაადგილებაზე პასუხისმგებელი პირისა და კვალიფიკაციური პედაგოგების მეშვეობით.
ამასთან, როგორც ექსპერტი აღნიშნავს, დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.
პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა ვაუჩერული და პროგრამული დაფინანსება.
პროგრამის ბიუჯეტი ითვალისწინებს სხვადასხვა ხარჯებს, პროგრამულ და ინსტიტუციურ დანახარჯებს, ბიუჯეტში ასახული პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები მოიცავს: საოპერაციო ხარჯებს, პროფესიული განათლების მასწავლებლის შრომის ანაზღაურებას, პროგრამის განვითარების ხარჯებს. რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და გასაუბრებისა და დათვალიერების შედეგებით, რომლითაც, იგი შეფასდა როგორც "შეესაბამება".
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ”მებაღეობა“ სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას.
სასწავლო კურსების განხორციელების დაგეგმვისას დაცულია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობები და პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა. პროგრამას დანართის სახით ახლავს სასწავლო გეგმა/გეგმები.
სასწავლო გეგმაში, რომელიც აგებულია პროგრამის განხორციელების თავისებურებების გათვალისწინებით, დაცულია დროის შუალედი განმეორებითი შეფასებისთვის.
პროგრამის "მებაღეობა” ფარგლებში დაწესებულების მიერ პროგრამის სასწავლი გეგმა აწყობილია დაშვების წინაპირობა გათვალისწინებით, თუმცა გასათვალისწინებელია სეზონური ფაქტორი მოდულების განხორციელების პროცესში.
ამასთან დაკავშირებით, დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია, რომ მოახდინოს მოდულების განხორცილების თანმიმდევრობის დაცვა სეზონურობის გათვალისწინებით
სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვისათვის, დაწესებულება იყენებს ლიცენზირებულ ონლაინ პლატფორმას „ZOOM"-ს დისტანციური/ონლაინ სწავლებისთვის. პანდემიის პერიოდში პროფესიულ სტუდენტთათვის ხელშეწყობის მიზნით, დაწესებულებამ პროფესიულ სტუდენტებს მიაწოდა ინფორმაცია ტექნიკურ მხარდაჭერასთან დაკავშირებით, მათ შორის ცენტრის აუდიტორიებითა და კომპ. ტექნიკით სარგებლობის შესახებ.

გარდა ამისა, საჭიროების შემთხვევაში დაწესებულება უზრუნველყოფს სსსმ პირთათვის შესაბამისი გარემოს შექმნასა და სწავლისთვის საჭირო პირობების შეთავაზებას. ასევე, ინდივიდუალურ საჭიროებად განიხილება ყველა ის შემთხვევა (მობილობა, სტატუს შეჩერებული სტუდენტისთვის სტატუსის აღდგენა), როდესაც სტუდენტის სწავლება ძირითადი სასწავლო გეგმით ვერ განხორციელდება.
პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო პროცესი შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა ცვლაში ან გრაფაში.
პროგრამის ხელმძღვანელებთან გასაუბრებით გაირკვა, რომ ისინი ითვალისწინებენ სხვადასხვა რეკომენდაციებს სასწავლო პროცესში.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებსა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას, რისთვისაც ასევე მნიშვნელოვანია მასწავლებლების კომპეტენცია, რაც ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს ნამდვილად აქვთ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ნანი დალაქიშვილს კითხვით, იყო თუ არა მონიტორინგის ჩანიშვნა აუცილებელი, რაზეც ნანი დალაქიშვილმა უპასუხა, რომ შესაძლოა მართლაც ჩანიშულიყო მონოტორინგი, რადგან დაწესებულებას სხვადასხვა ნივთები ჰქონდა შესაძენი, ამიტომ უფრო მეტი თვალსაჩინოებისთვის დაწესებულების წარმოამდგენლისთვისაც უნდა მოესმინათ.
ამისთვის, საბჭოს თავმჯდომარემ, მიმართა დაწესებულებას, რათა 5.1 და 5.2 კომპონენტთან მიმართებით საკუთარი მოსაზრება გამოეთქვათ.
დაწესებულების ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, იაკინთე ჩხარტიშვილმა განაცხადა, რომ მათი რეგიონისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო პროფესიული განათლების დამკვიდრება და განვითარება, ამას ადასტურებდა ის, რომ მათ ააშენეს ახალი შენობა და ამასთან მიმდინარეობდა სხვადასხვა სახის სამუშაოები, ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულებას მომავალი წლის ბიუჯეტში უკვე გათვალისწინებული ჰქონდა იმ ღონისძიებების გატარებისთვის საჭირო ხარჯები, რაც არსებული პრობლემების აღმოფხვრისთვის უნდა განხორციელებუყლიყო. ეს ეხებოდა არსებული მონიტორინგის ფარგლებში, სახანძრო უსაფრთხოებისთვის ახალი წლის ბიუჯეტში პრობლემის აღმოფხვრისთვის გეგმის გაწერას ამასთან, დაწესებულებას ვიდეო კამერების(სამეთვალყურეო) შეძენა გაწერილი აქვთ შემდეგი წლის ბიუჯეტის პირველ კვარტალში, ხოლო რაც შეეხებოდა იმ დოკუმენტაციას რაც მოთხოვნილ იქნა ავტორიზაციის საბჭოს მიერ , მაგ: პერსონალურ მონაცემთა დაცვის დოკუმენტს, უკვე მომზადებული ჰქონდა დაწესებულებას აღნიშნული და გადიოდა ექსპერტიზას, რაზეც უფრო დეტალურად საუბარი შეეძლო იურიდიული დეპარტამენტის უფროს, ჟანა ჯიბლაძეს, ამასთან, მატერიალური ტექნიკური ბაზის განვითარებისთვის გატარდა რიგი ღონისძიებები, რაც საუნივერსიტეტო სივრცეს ეხება და რომელიც პირველად ხდებოდა ქვეყნის მასშტაბით და გულისხმობდა პროგრამულ ბიუჯეტს,რომლითაც სრულიად დეტალურად მოხდება შესყიდვების გეგმის აღწერა და ვადების გაწერა,რომელიც რა თქმა უნდა გააძლიერებს, პროფესიული განათლების მიმართულებით ინფრასტრუქტურას, შესაბამისად იმ საკითხებს, რომლებსაც საბჭო და ექსპერტები განიხილავდნენ სრულიად ეთანხმებოდნენ ამ კონკრეტულ ნაწილში და ეს საკითხები უკვე მოგვარების გზაზე იყო რის გამოც, პირადად შეხვდა იგი ექსპერტებს და როგორც ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, გასცა დაპირება მოცემული ხარვეზების გამოსწორებისა. ამიტომ, ყოველი რეკომენდაცია, რომელიც საბჭოს ან ექსპერტების მიერ იქნება გაცემული, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თქმით, მისი პირადი კონტროლის ქვეშ მოექცევა, რათა შეუფერხებლად იქნას გათვალისწინებული და განხორციელებული. ბოლოს კი მადლობა გადაუხადა ექსპერტებსა და საბჭოს წევრებს.
ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორმა მადონა მიქელაძემ დაწესებულების სახელით, მადლობა გადაუხადა ექსპერტებსა და საბჭოს წევრებს გაწეული შრომისთვის და დახმარებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ასევე დაწესებულების წარმომადგენელს, ასეთი მზაობისთვის და დაუსვა კითხვა, თუ როდის ექნებოდათ საინფორმაციო კონტენტთან მიმართებით პრობლემა მოგვარებული, რაზეც მადონა მიქელაძემ უპასუხა, რომ პრობლემა ძირითადად საიტზე განთავსებულ ინფორმაციას და სხვა ასეთ ნაკლებად მნიშვნელოვან ტექნიკურ საკითხებს ეხებოდა, რომლებიც უახლოეს დროში იქნებოდა მოგვარებული, ხოლო რაც შეეხებოდა სახანძრო უსაფრთხოებას, თითქმის ყველაფერი იქნა მოწესრიგებული, უბრალოდ, ექსპერტების ვიზიტის დროს ხანძარსაწინააღმდეგო, რეგულაციები გამკაცრდა და დადებითი დასკვნაც არ იქნა დაწერილი. შესაბამისად, შესაბამისობის გეგმიდან გამომდინარე აღნიშნულ პრობლემების გამოსწორებისთვის 6 თვიანი ვადა ჰქონდათ(2022 წლის 6 ივნისი) განსაზღვრული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებით კითხვები არ ჰქონდათ. აქვე საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მონიტორინგის ჩანიშვნის თაობაზე იმსჯელებდნენ უნივერსიტეტში განხორციელენული ხუთივე ადმინისტრაციული წარმოების მოსმენის შემდეგ.
კენჭისყრის დაწყებამდე, 16:37 საათზე საბჭოს სხდომა დატოვეს გიორგი ხიშტოვანმა, მარიამ ჩაგელიშვილმა. შორენა ჯაფარიძემ უარი განაცხადა კენჭისყრაში მონაწილეობაზე, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ინტერესთა კონფლიქტის არსებობის გამო.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მებაღეობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე:7
წინააღმდეგი:0
გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებგანაცხადის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 52-ე მუხლის შესაბამისად, განხორციელდეს სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (ს/კ:245428158) „მებაღეობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება **(დანართი 1).**
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2021 წლის 24 დეკემბერი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სატყეო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე:7
წინააღმდეგი:0
გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ განაცხადის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 52-ე მუხლის შესაბამისად, განხორციელდეს სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (ს/კ:245428158) „სატყეო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება **(დანართი 2).**
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2021 წლის 24 დეკემბერი.

კენჭისყრის შემდეგ, სხდომა დატოვა ნინო კაკულიამ. შესაბამისად, კვორუმის არარსებობის გამო, დღის წესრიგით განსაზღვრული მეოთხე-მეშვიდე საკითხების განხილვა ვერ შედგა და შემდეგი სხდომისთვის გადაიდო.

საბჭოს სხდომა დასრულდა 16:45 საათზე.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ყუფუნია ნანა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
რზგოევა ქრისტინა

დანართი 1

პროგრამის სახელწოდება	მებაღეობა
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია მებაღეობაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0812
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. №15
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	40
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	85
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	115

დანართი 2

პროგრამის სახელწოდება	სატყეო საქმე
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სატყეო საქმეში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0821
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. №15
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	20
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	48
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	78